აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება- საარქივო სამმართველოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი N2

2015 წლის 3 ნოემბერი ქ. ბათუმი

სხდომას ხელმძღვანელობდა: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე მაია ივანიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები: თენგიზ სალუქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი ქუთათელაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი ინგა ხალვაში.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი ნინო წულიკიძე.

დღის წესრიგი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა განცხადებების გადარჩევა.
2. კონკურსის მეორე ეტაპის ჩატარების თარიღის, ადგილისა და პირობების დადგენა.

მომხსენებელი. მ. ივანიშვილი

მოისმინეს: მაია ივანიშვილის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა მიერ შევსებული განცხადებების შესახებ.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით დარეგისტრირდა 34 განცხადება, რომელთა დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 05 ოქტომბრის N16 დადგენილებით დამტკიცებული კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (შესაბამისი სტაჟი და/ან განათლება).

კონკურსანტთა მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ატვირთული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N1) დადგენილი სავალდებულო დოკუმენტაცია.

სამდივნოს წარმომადგენლმა ინგა ხალვაშმა მოახსენა კომისიას რომ ერთი კონკურსანტის, ნინო კვაჭაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ნინო კვაჭაძე სხვა კონკურსანტებთან შედარებით აკმაყოფილებს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტები, ცნობა სამსახურიდან არ ადასტურებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არანაკლებ 3 წლიან გამოცდილებას, ცნობა არის

გაცემული ძველი თარიღით (6.04.2015 წელი) რაც არ გავძლევს საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ ნინო კვაჭაძის 3 წლიანი სამუშაო სტაჟი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ჩახვაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია იმ კონკურსანტების შესახებ, რომლებმაც წარმატებით ვერ გაიარეს კონკურსის პირველი ეტაპი, ოქმში (ან ოქმს თანდართულ დანართში) დაფიქსირდეს კომისიის მიერ თითოელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი.

თენგიზ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ უნდა მიეცეს ნინო კვაჭაძეს საშუალება დააზუსტოს წარმოდგენილი ცნობა სამუშაო სტაჟის შესახებ, ვინაიდან წარმოდგენილი ცნობის თანახმად მისი სამუშაო სტაჟი შეადგენს ორ წელსა და 8 თვეს.

გადაწყვიტეს: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 05 ოქტომბრის N16 დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება- საარქივო სამმართველოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N1) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დარეგისტრირებული 34 განცხადების გადარჩევის შემდეგ კონკურსის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარეს და მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე დაშვებული იქნეს შემდეგი კონკურსანტი:

ამირან გაგუა

ნინო კვაჭაძეს განესაზღვროს ვადა 2015 წლის 04 ნოემბრის 18 საათამდე საარქივო სამმართველოს ელ.ფოსტაზე info@archives-ajara.gov.ge გამოაგზავნოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, რომლითაც დადასტურდება მისი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. განსაზღვრულ ვადაში ზემოაღნიშნული ცნობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ნინო კვაჭაძე არ დაიშვება მეორე ეტაპზე და გასაუბრებაზე დაშვებული იქნება მხოლოდ ამირან გაგუა.

სხდომის ოქმს თან დაერთოს იმ კონკურსანტთა სია, რომლებმაც ვერ გაიარეს კონკურსის პირველი ეტაპი, დანართში მითითებული იქნება კონკრეტული საფუძველი, რომელიც გახდა თითოეული კონკურსანტის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველი. *(დანართი)*

კონკურსანტებს, რომლებმაც ვერ გადალახეს კონკურსის პირველი ეტაპი ეცნობოთ მათ მიერ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

2) **კონკურსის მეორე ეტაპის ჩატარების თარიღის, ადგილისა და პირობების დადგენა.**

მოისმინეს: მაია ივანიშვილის მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება ჩატარდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში 2015 წლის 10 ნოემბერს 14:00 სათზე

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ ჩახვაძემ და თენგიზ სალუქვაძემ.

გადაწყვიტეს: კონკურის მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართება 2015 წლის 10 ნოემბერს 14:00 საათზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში.

კონკურის მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტი შემოწმდება შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული კონკურსანტი კომისიის წევრთა მიერ შეფასდება 10 ბალიანი ქულით. გამარჯვებულის გამოსავლენად გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის მისაღებად კომისიის წევრთა მიერ დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

გამარჯვებულად გამოცხადდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსის მონაწილეთა შორის უმაღლეს საშუალო არითმეტიკულ შეფასებას, მაგრამ არანაკლებ 7 ქულას.

სხდომის თავმჯდომარე	მაია ივანიშვილი
კომისიის წევრები	თენგიზ სალუქვაძე
	ავთანდილ ჩახვაძე
	ირაკლი ქუთათელაძე